01/10/2024

MES 6 24 0001246499

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომი სოქმი**

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები**:

**დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
**თამარ მამსიკაშვილი** - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
**მანანა ჯინჭარაძე** - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
**გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;

**ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
**პეტრე ბაბილუა** - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
**მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
**მორის დანდურიშვილი** - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
**ნატო გაბოშვილი** - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
**შალვა მეკრავიშვილი** - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

**2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**თეა ლილუაშვილი -** ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
**ნინო ცხოვრებაძე** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
**ნია გრიგალაშვილი** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ქეთი მუთიძე** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**სსიპ - ლუდოვიკო ჭანტურიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის №1 ს ავჯარო სკოლა:**
იზოლდა ჭიჭინაძე- სკოლის დირექტორი

**სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ აბისის საჯარო სკოლა:**
ლეილა თეთრუაშვილი - სკოლის დირექტორი

**სსიპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლა:**
ზაურ პავლიაშვილი- სკოლის დირექტორი

**სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლევის საჯარო სკოლა:**
მაკა კოპაძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

**სსიპ - ქალაქ სამტრედიის N12 საჯარო სკოლა:**
ნინო ონიანი - სკოლის დირექტორი

**სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავერდის საჯარო სკოლა:**
ზაალ სხილაძე - სკოლის დირექტორი

**ა(ა)იპ-წყალტუბოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გი მნაზია:**

მაია ონიანი - სკოლის დირექტორის მოადგილე

**4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტ ები):**

**სსიპ - ლუდოვიკო ჭანტურიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის №1 ს აჯარო სკოლა:**

ა) ნინო ვასაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ თაბუაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ზაუტაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ხათუნა საყვარელიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თაია მამარდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეკა ბარნაბიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) გიორგი ტაბუცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თეა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლალი აბულაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ვლადიმერ უშიკიშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

**სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ აბისის საჯარო სკოლა:**

ა) ნათელა ბასილია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) დავით ფერაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თეა მათითაიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ზაზა მანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თაია მამარდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სოფიო გელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თინათინ მარქარაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ირინე ჯანაშია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაკა ყიფშიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

**სსიპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლა:**

ა) ნათელა ბასილია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნატალია ბეიტრიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ცირა ბრეგვაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) შორენა გაგნიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ინგა გოგალაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ვ) ნინო ზირაქაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ნოზაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თამარ ოძელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო საღარაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

**სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლევის საჯარო სკოლა:**

ა) გოჩა შუბითიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო შუბლაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მალხაზ შატბერაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკატერინე ჟვანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ხათუნა ფანცულაია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარიკა ბოცვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეა ღვინიანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) სოფიო თავაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მანანა შეროზია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო კოვზიაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

**სსიპ - ქალაქ სამტრედიის N12 საჯარო სკოლა:**

ა) ლიკა ხვედელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) დალი თურმანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მარინე ვაჩეიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) შორენა ტყემალაძე(საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მარინე შანშიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარიამ ჩიკვაიძე-კეჭაყმაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) შორენა ბადურაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლია ცერცვაძე-ცუცქირიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მიმოზა ტყებუჩავა (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ვლადიმერ უშიკიშვილი(სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია კურტანიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

**სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავერდის საჯარო სკოლა:**

ა) ელენე კალანდაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) შორენა კაკაბაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლია ბოგვერაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) კახა გალდავა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათია ლომთათიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ხათუნა კალმახელიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ზ) ლილი კაცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარიამ ჯვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნატო გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 18 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:**

1. სსიპ - ლუდოვიკო ჭანტურიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ აბისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ სამტრედიის N12 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავერდის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა ;
7. ა(ა)იპ- წყალტუბოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
8. „ა(ა)იპ - კავკასიის ფრანგული სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 23 მაისის N585797 გადაწყვეტილებისა და N585242 ოქმის მესამე ნაწილში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

**1. სსიპ - ლუდოვიკო ჭანტურიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ვასაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ლუდოვიკო ჭანტურიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის №1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 18 და 19 ივლისს. სკოლა მდებარეობდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარში, ქანთარიას N6-ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 400. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 400 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა არაფორმალური განათლების მიმართულებას, ეწეოდა ეკონომიკურ საქმიანობას და კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული ჰქონდა იჯარის ხუთი ხელშეკრულება, ასევე სკოლას ჰყავდა თეატრალური დასი.
ექსპერტმა, ნინო ვასაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა “მეტწილი” შესაბამისობით, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასებული იყო, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, ნინო ვასაძემ, წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, ჰქონდა სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო ყველა რესურსი, თუმცა, შიდა სპორტული დარბაზი საჭიროებდა სარემონტო სამუშაოებს.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლას მისცა რეკომენდაციები, დაეხვეწათ შეფასების რუბრიკები, კომპლექსური/პროექტული დავალების შესრულების დოკუმენტაცა და სკოლის ვებ-გვერდზე აესახათ სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა. ასევე, დაინტერესდა, დაინახეს თუ არა ექსპერტებმა სკოლის საქმიანობის კავშირი ლუდოვიკო ჭანტურიასთან, რომლის სახელსაც ატარებს სკოლა.
ექსპერტის, ნინო ვასაძის, განმარტებით, სკოლას აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა ლუდოვიკო ჭანტურიას ოჯახთან და წარჩინებულ მოსწავლეებს ეძლეოდათ მისი სახელობის სტიპენდია.
სკოლის დირექტორის, იზოლდა ჭიჭინაძის, განმარტებით, სასკოლო საზოგადოება და მოსწავლეები კარგად იცნობდნენ ლუდოვიკო ჭანტურიას დამსახურებებსა და მოღვაწეობას.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლას მისცა რჩევა, შინაგანაწესი მოეყვანათ შესაბამისობაში რეალური დღის განრიგთან.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, ასევე დაინტერესდა, რამ განაპირობა, მე-6 კლასის ერთ-ერთი მოსწავლისთვის მოსწავლის სტატუსის შეჩერება. დაწესებულების წარმომადგენლის, იზოლდა ჭიჭინაძის განმარტებით, მოსწავლის სტატუსის შეჩერების მიზეზი იყო ის, რომ მოსწავლე ოჯახთან ერთად, საცხოვრებლად წავიდა საზღვარგარეთ, მისი თქმით, მოსწავლის ოჯახმა დაგვიანებით აცნობა სკოლას აღნიშნულის თაობაზე . საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლას მისცა რჩევა მოსწავლის გაცდენებთან დაკავშირებით, სამომავლოდ, საქმის კურსში ჩაეყენებინა სოციალური მომსახურების სააგენტო.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ლუდოვიკო ჭანტურიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400 - ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო:** 16:20
**დასრულების დრო:** 16:25

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე** - 10
**წინააღმდეგი** - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ლუდოვიკო ჭანტურიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის №1 საჯარო სკოლას (ს/კ: 242736063) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების

სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ჯვარი, ქანთარიას ქუჩა N6 |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ჯვარი, ქანთარიას N6 |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ჯვარი, ქანთარიას N6 |

**საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:**

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

**მონიტორინგის დაწყების პერიოდი** - 2026 წლის სექტემბრიდან;
**მონიტორინგის განხორციელების ფორმა** - ადგილზე ვიზიტი;
**მონიტორინგის ფარგლები:** 1-ელი, მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) მე-3 და მე-4 სტანდარტები.

**2. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ აბისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნათელა ბასილიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ აბისის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 11 და 12 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ აბისში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 150. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 150 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ნათელა ბასილიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, ჰქონდა ლიფტი, სპორტული დარბაზი და ინვენტარი, თუმცა არ ჰქონდა სააქტო დარბაზი და ასევე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია არ იყო აღჭურვილი შესაბამისი რესურსებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, როდის იყო სკოლა რეაბილიტირებული და ჰქონდა თუ არა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ ექსპერტიზის დასკვნა.

სკოლის დირექტორის, ლეილა თეთრუაშვილის, განმარტებით, დაწესებულებას რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2021-2022 წლებში და ჰქონდა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ ექსპერტიზის დასკვნა.

საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა, რატომ არ იყო აღჭურვილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. სკოლის დირექტორის განმარტებით, დაწესებულებას არ ჰქონდა საჭირო ინვენტარის შეძენისთვის საკმარისი ფინანსური რესურსი, თუმცა ეტაპობრივად დაიწყებდნენ აღნიშნულზე მუშაობას.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, მიმართა მათემატიკის საგნობრივ ექსპერტს, კურიკულუმებთან დაკავშირებით მეტი დეტალი წარმოედგინა საბჭოსთვის.

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის, მაკა ყიფშიძის, განმარტებით, სკოლის მიერ გადმოგზავნილ თავდაპირველ დოკუმენტაციაში იყო გარკვეული ხარვეზები, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევების შემდგომ, სკოლამ გამოასწორა აღნიშნული და გადმოაგზავნა ჩასწორებული კურიკულუმები, სადაც კარგად იყო განსაზღვრული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, ასევე  გაწერილი იყო ყველა აქტივობა, რასაც ახორციელებდნენ მათემატიკის მასწავლებლები.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლას მისცა რჩევა, დაეხვეწა შესყიდვების გეგმა და მასში ასახული ინფორმაცია, კერძოდ, CPV კოდებთან ერთად აესახათ შესყიდვის ობიექტის დასახელებებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ აბისის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო:** 16:40
**დასრულების დრო:** 16:45

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე** - 10
**წინააღმდეგი** - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ აბისის საჯარო სკოლას (ს/კ: 240890782) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი აბისი |
| 2 | | საბაზო | ქართული | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი აბისი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | | | |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი აბისი |

**3. სსიპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნათელა ბასილიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 25 და 26 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 60. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 60 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ნათელა ბასილიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს; მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულება იყო ახლადრეაბილიტირებული, შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო და ჰქონდა საგანმანათლებლო საქმიანობის სრულყოფილად განხორციელებისთვის საჭირო ყველა მატერიალური რესურსი, თუმცა სკოლას არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, სკოლას მისცა რეკომენდაცია, დაეხვეწათ და სრული ინფორმაცია აესახათ შეფასების რუბრიკებში. ასევე, დასკვნაში ასახული გარემოებების საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რით აიხსნებოდა, რომ დაწესებულებას 1-ელ, მე-2 და მე-3 სტანდარტებთან მიმართებით ჰქონდა მთელი რიგი ხარვეზები და როგორი იყო მზაობა მათი გამოსწორებისთვის. სკოლის დირექტორის, ზაურ პავლიაშვილის, განმარტებით, სკოლა გაითვალისწინებდა როგორც ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში დაფიქსირებულ რეკომენდაციებსა და რჩევებს, ასევე საბჭოს მხრიდან გაცემულ რეკომენდაციებს, გარკვეულ მათგანზე კი დაწყებული ჰქონდა მუშაობა.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციის საფუძველზე, საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას გაწერილი სტრატეგიული გეგმა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობასთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდა რაიმე ნაბიჯები გადადგმული.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლას მიმდინარე პერიოდისთვის შემუშავებული ჰქონდა სტრატეგიული გეგმა და აღნიშნული განთავსებული იყო სკოლის ვებ-გვერდზე. რაც შეეხებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიას, სკოლას მიმართული ჰქონდა ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის და ელოდა შესაბამის რეაგირებას.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია მოეყვანა სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში და აესახა სრული ინფორმაცია, ასევე „ადამიანური მართვის პოლიტიკა“ დასამტკიცებლად წარედგინა სამეურვეო საბჭოსთვის, როგორც ეს დირექტორთან გაფორმებული ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო:** 17:05
**დასრულების დრო:** 17:11

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე** - 10
**წინააღმდეგი** - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლას (ს/კ:224628080) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოსიაური |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოსიაური |

**საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:**

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, 2025 წლის სექტემბერში, კერძოდ ერთწლიანი სამოქმედო და შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის წარმოდგენა, ხოლო 2026 წლის სექტემბერში, მასწავლებლების მიერ „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ცნობის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის აყვანის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

**მონიტორინგის დაწყების პერიოდი** - 2025 წლის სექტემბრიდან;
**მონიტორინგის განხორციელების ფორმა** - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
**მონიტორინგის ფარგლები:** მე-2 (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდრატი.

**4. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გოჩა შუბითიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლევის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 11 და 12 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლევში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 100. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 100 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, გოჩა შუბითიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი ,საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტ გოჩა შუბითიძის განმარტებით, სკოლას ესაჭიროებოდა სრული რეაბილიტაცია და სარემონტო სამუშაოები. თუნცა, ექიმის კაბინეტი იყო ყველა საჭირო რესურსით აღჭურვილი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას სველი წერტილები მოწყობილი ჰქონდა სკოლის ეზოში, ცალკე აშენებულ შენობაში.

დასკვნაში ასახული ინფორმაციისა და ექსპერტის მიერ საბჭოზე განხილული გარემოებების თანახმად, საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ სკოლას ნამდვილად ესაჭიროებოდა რეაბილიტაცია და სარემონტო სამუშაოები.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა, როგორ მიმდინარეობდა დაწესებულებაში სავალდებულო პროექტული სწავლება. საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის, ეკატერინე ჟვანიას განმარტებით, სკოლამ დამატებითი დოკუმენტაციით წარმოადგინა პროექტული სწავლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მისი თქმით, მცირეკონტიგენტიანი სკოლებისთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენდა პროექტებზე მუშაობა, თუმცა აღნიშნული დაწესებულება აქტიურად ახორციელებდა სხვადასხვა მიმართულების პროექტს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლევის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო:** 17:20
**დასრულების დრო:** 17:24

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე** - 10
**წინააღმდეგი** - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლევის საჯარო სკოლას (ს/კ:230078199) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბოსლევი |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბოსლევი |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბოსლევი |

**საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:**

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, 2026 წლის სექტემბერში, კერძოდ შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის, საგანგებო სიტუაციების გეგმის, ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის დამონტაჟებისა და ინკლუზიური გარემოს შექმნის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

**მონიტორინგის დაწყების პერიოდი** - 2025 წლის სექტემბრიდან;
**მონიტორინგის განხორციელების ფორმა** - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
**მონიტორინგის ფარგლები:** მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდრატი.

**5. სსიპ - ქალაქ სამტრედიის N12 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიკა ხვედელიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ სამტრედიის N12 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 22 და 23 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ სამტრედიაში, მშვიდობის ქუჩა N1-ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 650. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 650 მოსწავლისთვის, თუ საგანმანათლებლო საქმიანობას განახორციელებდა ორ ცვლაში.
ექსპერტმა, ლიკა ხვედელიძემ, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, საკუთარი დროშა, ქართული ცეკვისა და ტანვარჯიშის წრეები და სხვადასხვა მიმართულების კლუბი. ექსპერტის თქმით, სკოლას მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული აკაკი

წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, მონაწილეობას იღებდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სასკოლო-საგანმანათლებლო პროექტში „კამათის ხელოვნება“. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლა აქტიურად ახორციელებდა სხვადასხვა პროექტს, მაგალითად: „ანიმაციური ფესტივალი“, „ზამბარიანი დამბაჩა“, „ქიმიური რეაქციის სიჩქარე ყოველდღიურ ცხოვრებაში“, „ვზრუნავთ ჩვენს საარსებო გარემოზე“ და ა.შ.
ექსპერტმა, ლიკა ხვედელიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შიდა და გარე პერიმეტრი იყო კეთილმოწყობილი, აღჭურვილი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ყველა რესურსით და შექმნილი იყო ინკლუზიური გარემო.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, დაეხვეწათ და დაეკონკრეტებინათ შეფასების რუბრიკები, პროექტული სწავლების დოკუმენტაცია და რეფლექსიები, კერძოდ, წამახალისებელი რუბრიკები იყო ფორმალური ხასიათის, ასევე, პროექტული სწავლების განხორციელების შემდეგ არ იყო წარმოდგენილი სიღრმისეული ანალიზი.
სკოლის დირექტორმა, ნინო ონიანმა, განმარტა, რომ სკოლა ახორციელებდა მრავალფეროვან პროექტს და დახვეწავდა დოკუმენტაციას, თანხვედრაში მოიყვანდა რეალურად განხორციელებულ პროექტებთან.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, დაინტერესდა, რამდენად შეძლებდა სკოლა ორცვლიანი სწავლების პირობებში შეენარჩუნებინა ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესი.
სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სკოლას ორცვლიანი სწავლების განსახორციელებლად ჰქონდა ყველა საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსი. გარდა ამისა, დაწესებულებას ჰქონდა გამოცდილება ე.წ „შეჭრილი სწავლების“ და აღნიშნულს საკმაოდ წარმატებით ართმევდა თავს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ სამტრედიის N12 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 650 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო:** 17:40
**დასრულების დრო:** 17:50

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე** - 10
**წინააღმდეგი** - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ სამტრედიის N12 საჯარო სკოლას (ს/კ: 238755717) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 650 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ქალაქი სამტრედია, მშვიდობის ქუჩა N1 |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ქალაქი სამტრედია, მშვიდობის ქუჩა N1 |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ქალაქი სამტრედია, მშვიდობის ქუჩა N1 |

**საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:**

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაცია და რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, 3.4 კომპონენტთან მიმართებით, 2025 წლის სექტემბერში, კერძოდ შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

**მონიტორინგის დაწყების პერიოდი** - 2025 წლის სექტემბრიდან;
**მონიტორინგის განხორციელების ფორმა** - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
**მონიტორინგის ფარგლები:** მე-2 (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდრატი.

**6. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავერდის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ელენე კალანდაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავერდის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 01 და 02 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავერდში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 120. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 120 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ელენე კალანდაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს; მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა „მეტწილად“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ესაჭიროებოდა რეაბილიტაცია, თუმცა საკლასო ოთახები იყო კეთილმოწყობილი.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტის, ნინო ჭიჭინაძის განმარტებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმები საჭიროებდა დახვეწას და სკოლის წარმომადგენლებს ჰქონდათ მზაობა გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავერდის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო:** 18:10
**დასრულების დრო:** 18:20

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე** - 10
**წინააღმდეგი** - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავერდის საჯარო სკოლას (ს/კ:230078313) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის | დაწყებითი | ქართული | ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | | | სოფელი ალავერდი |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ალავერდი |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ალავერდი |

**საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:**

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, 2.1 (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) კომპონენტთან მიმართებით, 2025 წლის სექტემბერში, კერძოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა. ხოლო 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, შენობის მდგრადობის, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და ინკლუზიური გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები ცენტრში წარმოდგენა, 2026 წლის აგვისტოში.

**7. ა(ა)იპ- წყალტუბოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა -გიმნაზიის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახე ბანგარიშის განხილვა**

ცენტრის წარმომადგენელმა, განაცხადა, რომ ა(ა)იპ- წყალტუბოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 07 თებერვლის N131128 ოქმის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2023 წლის სექტემბრის ბოლომდე ცენტრში წარმოედგინა ეზოს შემოღობვის დამადასტურებელი ფოტო-მასალა და დაეკორექტირებინა საგნების დაძლევის ქულის ბარიერი და მოეყვანა აღნიშნული კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. აღნიშნული დოკუმენტაცია 2024 წლის 07 აგვისტოს წარმოადგინა დაწესებულებამ და შემდგომი შესწავლის მიზნით, მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, ა(ა)იპ - წყალტუბოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

**8. „ა(ა)იპ - კავკასიის ფრანგული სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო და წესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 23 მაისის N585797 გადაწყვეტილებისა და N585242 ოქმის მესამე ნაწილში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა**

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბჭოს 2023 წლის 23 მაისის N585242 სხდომის ოქმსა და N585797 გადაწყვეტილებაში, ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი. კერძოდ, მითითებული იყო, რომ ა(ა)იპ-კავკსიის ფრანგული სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა ფრანგულ და ქართულ ენებზე, რეალურად კი, დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა მხოლოდ ფრანგულ ენაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 23 მაისის N585797 გადაწყვეტილებისა და N585242 ოქმის მესამე ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 23 მაისის N585797 გადაწყვეტილებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და გადაწყვეტილების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. .„საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვროს ფრანგული ენა;“.

1. 2023 წლის 23 მაისის N585242 ოქმის მესამე ნაწილში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა, კერძოდ გადაწყვეტილების ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - კავკასიის ფრანგულ სკოლას (ს/კ: 204517077) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 700 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 28 სექტემბერი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვროს ფრანგული ენა.“.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 18:40 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა